

კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი "ფაზისი" თავისი არსებობის მრავალ ათეულ წელს ითვლის. იგი დაარსდა 1957 წელს. წლების განმავლობაში ეს სასწავლო კერა ახორციელებდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ქალაქის შრომის ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე. კოლეჯის ბაზაზე მიმდინარეობდა მუშა-მოსამსახურეთა მომზადება-გადამზადება სხვადასხვა სპეციალობებში. კოლეჯმა თავისი არსებობის მანძილზე რამდენჯერმე მცირედ იცვალა მიმართულება, მაგრამ ძირითადი პროფილი უცვლელი დარჩა.

2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა კოლეჯის სრული რეაბილიტაცია. კოლეჯი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აგრეთვე სრულად აღიჭურვა ინვენტარითა და თანამედროვე ელექტრო და კომპიუტერული ტექნიკით. საზოგადოებრივი კოლეჯის "ფაზისი" სასწავლო და საწარმოო გარემოს შექმნას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გაეროს განვითარების პროგრამამ, რომლის თანადგომით კოლეჯში შეიქმნა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კოლეჯის მატერიალური ბაზის შევსებას ხელი შეუწყვეს აგრეთვე სხვა დონორმა ორგანიზაციებმაც - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ.

ქალაქი ფოთი, თავისი განვითარების გზაზე აუცილებლად მოითხოვს კვალიფიცირებულ მუშა-ხელს და ჩვენი კოლეჯის მიზანიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაა. ჩვენი რეგიონისათვის პრიორიტეტია ფოთის პორტის განვითარება, ამ მხრივ კოლეჯი აქტიურად არის ჩართული ამ დარგის სპეციალისტების მომზადებაში. ქალაქის შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით კოლეჯი ამზადებს აგრეთვე სპეციალისტებს სამშენებლო სფეროში. კოლეჯი თანამშრომლობს ქალაქის მრავალ ორგანიზაციასთან და ეს ორგანიზაციები წარმოადგენენ ბაზას საწარმოო პრაქტიკის გასავლელად ჩვენი სტუდენტებისათვის. კოლეჯში სწავლობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე მიმდებარე რეგიონებიდან ჩამოსული ადამიანები, ასევე, ჩვენი კარი ღიაა მზრუნველობა მოკლებული, განსხვავებული უნარის მქონე, დევნილი და სოციალურად დაუცველი ფენებისათვის.

კოლეჯისათვის უმნიშვნელოვანესია შემდგომი განვითარება და ხარისხისა და მიმზიდველობის ზრდასთან ერთად, გეოგრაფიული არეალის გაფართოებაც და რადგანაც სამეგრელოს მხარეში, ეკონომიკური საქმიანობის

თვალსაზრისით, ყველაზე აქტიური სწორედ ხობის მუნიციპალიტეტია და განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მიმართულებას, გაჩნდა ინიციატივა, ხობის მუნიციპალიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელებულ იქნეს ჩვენს მიერ და გაიზარდოს დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები. ამ მიზნით, უვადო სარგებლობის უფლებით კოლეჯს გადმოეცა ხობში სოფ. ნოჯიხევიში მდებარე შენობა-ნაგებობა მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით (ყოფილი პროფესიული სწავლების ცენტრი) მიმდინარე ეტაპზე ზემო აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, დასრულდა.

კოლეჯს, რეგიონის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით განსაზღვრული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება სხვა და სხვა მიმართულებით. კოლეჯის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო

ხელშეკრულებებით და შეთანხმებით, “პროფესიული განათლების შესახებ” და“საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონებით, ასევე სხვა ნორმატიული აქტებითა და კოლეჯის წესდებით კოლეჯის ყველა თანამშრომელი ხელმძღვანელობს დამტკიცებული შინაგანაწესით მათზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობებიდან გამომდინარე და საშტატო განრიგის შესაბამისად. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

კოლეჯი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიკაციური პერსონალით.

